

ნინო დოლიძე

„თბილისური მაკამის“ უახლესი ინგლისური თარგმანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2020 წელს ნიუ იორკის უნივერსიტეტის გამომცემლობამ არაბი კლასიკოსის – ალ-ჰარირის (1054-1122) „მაკამების“ თარგმანი გამოსცა. მაკამა გართმული პროზით დაწერილი მცირე ნოველაა.¹ ორმოცდაათ ასეთ ნოველას ერთ ციკლში ორი მთავარი პერსონაჟი აერთიანებს – 1) მთხრობელი – ქალაქიდან ქალაქში მოგზაური ვაჭარი, რომელიც საკუთარი თვალთ ნანახს გვიამბობს და 2) გაღარიბებული, თუმცა განათლებული, გამჭრიახი მოხეტიალე გმირი, რომელიც ცდილობს, თავის ცოდნითა და უნარებით ლუკმა პური მოიპოვოს. ალ-ჰარირის მოღვაწეობის პერიოდში, არაბთა იმპერიის რღვევისას, მართლაც გაჩნდნენ მცოდნე, ნიჭიერი უპოვარები, რომლებიც სარჩოს სიტყვით გამოსვლითა თუ პოეტურ პაექრობებში მონაწილეობით შოულობდნენ. გაღატაკებულთა ამ სოციალური ფენის წარმომადგენელია ალ-ჰარირის მაკამური ციკლის მთავარი პერსონაჟი აბუ ზაიდიც. რიგით 33-ე მაკამაში მოქმედება თბილისის ერთ-ერთ მეჩეთში ვითარდება. მთხრობელი, ჰარის იბნ ჰამამი, მოხეტიალე ბოჰემას ლოცვისას ხვდება. ამ ნოველას „თბილისური მაკამა“ ჰქვია. საქართველოს დედაქალაქში მე-11-მე-12 სს-ში არაერთი მეჩეთი იქნებოდა, მაგრამ აქ სხვა რამაა მთავარი – არაბული იმპერიის კლასიკოსად ქცეული მწერლის, ფილოლოგიური ტრაქტატების ავტორის, განსაკუთრებული ერუდიციით გამორჩეული მეცნიერის ალ-ჰარირის მიერ ერთ-ერთი მაკამის ასე დასათაურება შემთხვევითი არ უნდა იყოს. გ. წერეთლის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ სანასა და ბაღდადის, სამარყანდისა და შირაზის გვერდით იმდროინდელ აღმოსავლეთში თბილისი მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად მოიაზრებოდა (1947, გვ. 41).

თუმცა, თანამედროვე ამერიკელი მკვლევარი, კალიფორნიის უნივერსიტეტის (ლოს ანჯელესში) ასოცირებული პროფესორი, ალ-ჰარირის „მაკამების“ უახლესი ინგლისური ვარიანტის ავტორი მაიკლ კუპერსონი ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მის თარგმანში შეცვლილია არა მხოლოდ მთლიანი კრებულის, არამედ ცალკეულ მაკამათა სათაურებიც, რომელთა უმრავლესობა რეალურ გეოგრაფიულ

¹ უფრო დაწვრილებით მაკამის ფორმის შესახებ იხ.: დოლიძე, 2010, გვ. 15-22

სახელწოდებას შეიცავს და მიუთითებს ადგილზე, სადაც ხდება მოქმედება მოცემულ მაკამაში. კუპერსონს მიაჩნია, რომ მაკამების შინაარსიდან გამომდინარე დასათაურებას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს (2020, გვ. XX) კრებულის უახლეს თარგმანს ჰქვია *Imposters* („თაღლითობანი“), ხოლო „თბილისურ მაკამას“ – *The Joy of Yarabic* („იდიშისა და არაბულის მხიარულება“). ეს სათაური ლეო როსტენის კლასიკად ქცეული წიგნის *The Joys of Yiddish* მიხედვითაა შერჩეული (Rosten, 2001). პირველად როსტენმა 80-იან წლებში გამოსცა აღნიშნული სახალისო ლექსიკონი, რომელიც არა მხოლოდ ცაკლეულ სიტყვებს და გამოთქმებს შეიცავდა იდიშზე, არამედ ზოგად ინფორმაციას ებრაული ფოლკლორის, რელიგიური რიტუალების, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების შესახებ, ასევე ანეკდოტებს, ეპიგრამებს, ციტატებს თალმუდიდან და სხვ. სამი ათწლეულის განმავლობაში ბესთსელერად ქცეული ეს გამოცემა პუბლიცისტების, მწერლებისა და ჟურნალისტების სამაგიდო წიგნი იყო, რომელიც არაერთხელ გამოიცა განახლებულ-შეესებული ფორმით. მოგვსენებათ, იდიში (გერმ. Jüdisch, ინგ. Yiddish) იუდაურ-სლავური ელემენტების შემცველი დასავლეთგერმანული ენაა, ხოლო Yinglish (Yiddish + English) არის ივრითიდან შემოსული სიტყვებით და გამოთქმებით გამდიდრებული ინგლისური სასაუბრო ენა. „თბილისური მაკამის“ თარგმნისას სწორედ ეს ენა გამოიყენა კუპერსონმა, რომელმაც იდიში ამჯერად არაბულს დაუკავშირა (Yarabic). ამერიკელ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება ისეთი ებრაული წარმოშობის ლექსიკა, რომელიც ინგლისურში არ დამკვიდრებულა, თუმცა არის ცალკეული გამოთქმები, რომელიც ამერიკელთა სასაუბრო ენაშიც შევიდა. იხადება კითხვა: რა კავშირშია მე-12 ს-ში დაწერილ „თბილისურ მაკამასთან“ იდიშისა და ინგლისურის ნაზავი, რომელზეც უმეტესად აშშ-ის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მეტყველებენ?

ეს საკითხი ორიგინალის კუპერსონისეული ინტერპრეტაციის გასაღებია, მაგრამ იმისათვის, რომ შეკითხვას სრულად ვუპასუხოთ, საჭიროა ალ-ჰარირის ტექსტის თარგმნის კონტექსტს და მთარგმნელის სტრატეგიას შევხვით. მაკამების კრებული ინგლისურად აქამდე არაერთგზის იყო თარგმნილი. მ. კუპერსონს მისი ხელახლა თარგმნა შესთავაზეს პროექტის „არაბული ლიტერატურის ბიბლიოთეკა“ ფარგლებში, რომლის მიზანიც არაბთა ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაა. სათარგმნ მასალას ოცდაათკაციანი საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო არჩევს, შერჩეული ტექსტების თარგმნა და გამოცემა ფინანსდება ნიუ იორკის უნივერსიტეტის (აბუ დაბიში) მიერ.² უფრო ხშირად არაბულიდან აქამდე უთარგმნელი ნაწარმოებები ითარგმნება, თუმცა არის ისეთი ნიმუშებიც, რომელთა არსებული თარგმანები ვერ გასცდა სამეცნიერო წრეებსა თუ საუნივერსიტეტო აუდიტორიის ფარგლებს. შესაბამისად, მათ შესახებ დასავლურმა საზოგადოებამ დღემდე ბევრი არათვრი იცის. ასეთ ნაწარმოებს შორისაა ალ-ჰარირის მაკამებიც,

² დაწვრილებით ამ პროექტის შესახებ იხ.: <https://www.libraryofarabicliterature.org/>

რომლის არსებული ზედმინვენიტი ინგლისური თარგმანები ჩვეულებრივი, რიგითი მკითხველისთვის რთული აღსაქმელი აღმოჩნდა, რის გამოც ისინი ორიენტალისტთა ვიწრო წრეში დარჩა. მ. კუპერსონის მიზანი ისეთი თარგმანის შექმნა იყო, რომელიც ინგლისურენოვან მკითხველებში ცნობილი გახდებოდა. მან მართებულად არ მიიჩნია სიტყვის დონეზე (პარაფრაზა) ან წინადადების დონეზე (მეტაფრაზა) თარგმნა, რადგან, როგორც ჩანს, ერთადერთი სწორი გზა იმიტაციაა იმისთვის, რომ ეს ნიმუში 21-ე ს-ის მკითხველმა წაიკითხოს. თუმცა, როგორ უნდა მიბაძო ორიგინალის ჩახლართულ ლექსიკასა და სიტყვათა თამაშს მაშინ, როცა ინგლისურ პროზას მაინცდამაინც არ უხდება გართმევა, ხოლო მაღალფარდოვანი სტილი მიუღებელია თანამედროვე მკითხველისთვის. აღარაფერს ვამბობ პოეზიის ნიმუშების, პალინდრომების, ალუზიების, კალამბურების, ლიპოგრამების, წერტილიანი და უწერტილო ასოების მონაცვლეობით ან მხოლოდ წერტილიანი და მხოლოდ უწერტილო ასოებით დანერგილი სიტყვებისგან შემდგარი ფრაზების თარგმანის სირთულესა თუ შეუძლებლობაზე. როგორ უნდა ითარგმნოს ამგვარი „ლინგვისტური უონგლიორობა“, როგორც მას კუპერსონი უწოდებს (2020, XiX) ისე, რომ ის 21-ე ს-ის აღმქმელისთვის საინტერესო აღმოჩნდეს?! ამერიკელმა მთარგმნელმა გადაწყვიტა, ინგლისურენოვანი კლასიკოსების იდიომები, ცნობილ პოეტთა მოდელები და გლობალური ინგლისური ენის შესაძლებლობები გამოიყენებინა, დედნის სიტყვათა თამაში საყოველთაოდ გავრცელებული სასაუბრო ინგლისურის მრავალფეროვნებით ჩაენაცვლებინა. ახალ ინგლისურ თარგმანში მთელს მსოფლიოში მოდებულ სასაუბრო ენებს ვხვდებით, დანყებული შოტლანდიური, ახალი ზელანდიის, სინგაპურის ინგლისურით; დამთავრებული ესპანური, ნიგერიული და აფრო-ამერიკული ინგლისურით, რასაც ემატება ამერიკული კოლექტის, საქმიანი მოლაპარაკებებისა თუ სამართლებრივი დოკუმენტების, ქურდული, ლონდონური (cockney) თუ ამერიკული ვესტერნის (cowboy slang) და სხვა სლენგი. ყოველი მაკამის შესავალში განმარტებულია, თუ რომელ სალაპარაკო ენას იყენებს მთარგმნელი ამ კონკრეტულ მაკამში და რატომ ისევე, როგორც თითოეული მათგანის ბოლოს მითითებულია გამოყენებული იდიომების წყარო კლასიკოსთა (შექსპირი, ჩოსერი, დიკენსი, გილბერტი, ვულფი, ტვენი, დუგლასი და ა.შ.) შემოქმედებიდან, ასევე ახსნილია სალაპარაკო ენაში გავრცელებული ამა თუ იმ გამოთქმის მნიშვნელობაც.³

როგორც აღვნიშნეთ, „თბილისური მაკამის“ შემთხვევაში გამოყენებულია Yinglish – ინგლისურის და იდიშის ნაზავი. ცნობილ მწერალთა იდიომები 33-ე მაკამის თარგმანში არ გვხვდება, თუმცა არის ციტატები ძველი აღთქმიდან, აშშ-ში იდიშზე დადგმული სპექტაკლებიდან და სხვ. Yinglish -ზე დანერგილი 50-მდე სიტყვა თუ ფრაზა იჩენს თავს როგორც დიალოგებში, ისე ნარატორის თხრობასა და გმირის

³ უფრო დანვრილებით თარგმანის ლინგვისტურ თავისებურებების შესახებ იხ.: დოლიძე, 2023

შეგონების შემცველი სენტენცებით გაჯერებულ მონოლოგში. ასე რომ, ის არ არის გამოყენებული კონკრეტული პერსონაჟის ხასიათის შტრიხების გამოსაკვეთად ან იმის ხაზგასასმელად, რომ იმდროინდელ თბილისში ისლამურ თემთან ერთად ებრაულიც ცხოვრობდა. როგორც 33-ე ნოველის მცირე შესავალში ვკითხულობთ, „თბილისური მაკამის“ სათარგმნად ამერიკელი ებრაელების სასაუბრო ენა შეირჩა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ თაღლითი აბუ ზაიდის მოთქმა-ჩივილი სიღარიბისა თუ ავადმყოფობის გამო, მისი სიმულანტობა, თითქოს ის ინვალიდია და სხვ., კუპერსონს მე-20 ს-ის სამი ებრაელი წარმოშობის ამერიკელი კომედიანტის – ჰენი იანგმენის (1906-1998), დონალდ რიქლისა (1926-2017) და როდნი დანგერტილდის (1921-2004) შემოქმედებას მოაგონებს (2020, p. 306). გარდა იმისა, რომ სცენზე გამოსვლისას სამივე მათგანი Yinglish-ზე მეტყველებდა, მათ მონოლოგებში არც თუ იშვიათად იკვეთებოდა პუბლიკისათვის თავის შებრალება უსახსრობისა თუ სხვა მიზეზთა გამოისობით.

ლონდონში, რუსი ებრაელის ოჯახში დაბადებული ჰენი იანგმენი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა მისი მშობლები აშშ-ში წავიდნენ საცხოვრებლად. ის ნიუ იორკში გაიზარდა, მევიოლინე გახდა და კლუბის ჯამ ბენდში უკრავდა. ერთ საღამოს კლუბში კომედიანტი არ გამოცხადდა. სცენაზე მისი შეცვლა იანგმენს მოუწია. ასე დაიწყო მისი როგორც შოუმენის კარიერა. მსუბუქ ხუმრობებს ის ვიოლინოს თანხლებით წარადგენდა ხოლმე და 15-20 წუთში ათობით ანეგდოტს ჰყვებოდა (Youngman, 1989). დონალდ ჯეი რიქლისი აშშ-ში დაბადებული ებრაელი იყო. მამამისის მშობლები 1903 წელს გადასახლდნენ კუნძულისა და ნიუ იორკში. მსოფლიო ომში მონაწილეობის შემდეგ რიქლსმა დრამატული ხელოვნება შეისწავლა და ნიუ იორკის, მაიამისა თუ ლოს ანჯელესის კლუბებში გამოდიოდა. იმპროვიზატორი კომედიანტი არაერთ ტელეშოუშიც მონაწილეობდა (Rickle, 2008). ნიუ იორკელ ებრაელთა ოჯახში დაიბადა კომიკოსი, სცენარისტი და პროდიუსერი როდნი დანგერტილდიც. გამოდიოდა ნიუ იორკსა და ლას ვეგასში. მისი მონოლოგები განსაკუთრებული პოპულარობით 60-70-იან წლებში სარგებლობდა. გადაღებულია სხვადასხვა კომედიურ ფილმებში (Hardenberg, 2018).

ამ კომედიანტების გარდა კუპერსონი „თბილისური მაკამის“ კომენტარებში ახსენებს ამერიკელ ებრაელ კლასიკოს მწერალს – შოლემ ალეიჰამს (1859-1916) და მის მოთხრობას „*იომ ქიფურის*“ სკანდალი“ (Cooperson, 2020, p. 312). შოლემ ალეიჰამი (იგივე სოლომონ ნაუმოვიჩი რაბინოვიჩი) უკრაინაში დაბადებული ებრაელი იყო. ჯერ კიდევ 15 წლისამ „რობინზონ კრუზოს“ ებრაული ვერსია დაწერა. რუსეთის იმპერია 1905 წელს დატოვა. ოჯახთან ერთად ჯერ უენევაში ცხოვრობდა, შემდეგ – ნიუ იორკში, სადაც გარდაიცვალა. ოსვედონიმით *შოლემ ალეიჰამ* (ივრ.

⁴ *იომ ქიფური* - ე.წ. შაბათების შაბათი, იუდაური რელიგიური დღესასწაული მე-7 თვის (თიშრის) მეათე დღეს, ათდღიანი მარხვისა და მონანიების დასასრული.

„მშვიდობა თქვენდა“) ის წერდა ებრაულთა პრობლემებზე, ებრაული თემის ადგილზე იმდროინდელ მსოფლიოში. ალფიჰამმა მოთხრობების, რომანებისა და პიესების ორმოცთამეული გამოაქვეყნა იდიშზე (იხ. sholemlechem.org). მისი ნაწერები ინგლისურად ითარგმნა. აშშ-ში ცნობილი გახდა როგორც ებრაელი მარკ ტვენი. „იომ ქიფურის სკანდალის“ მთავარი პერსონაჟი აბუ ზაიდის მსგავსი თაღლითი, გამჭრიახი მატყუარაა. „თბილისური მაკამის“ უახლეს ინგლისურ თარგმანში გამოყენებული სიტყვები და გამონათქვამები ძირითადად ხსენებული კომედიანტებისა და ალფიჰამის მოთხრობის ფრაზეოლოგიას ეყრდნობა.

იდიშზე ორი სიტყვა „თბილისური მაკამის“ თარგმანის პირველსავე ფრაზაში გვხვდება. ესენია: *ჰა-შემ* („ღმერთი“) და *დევენ* („ლოცვა“): „As soon as I was old enough, I promised **HA-SHEM** I would never wait too long **daven**, if I could help it“. (Cooperson, 2020, p. 306)⁵ ორიგინალში ასეა: „*ალაჰს შევფიცე, თხუთმეტი წლის რომ გავხდებოდი, შეძლებისამებრ ლოცვას აღარ დავაყოვნებდი*“.⁶

მეორე წინადადებაში კი უკვე ძველი აღთქმიდან მოხმობილი ალუბია იჩენს თავს. არაბულ ვარიანტშია: „*უქმად ვიდოდი ერთი ხმელა პურის ამარა...*“ ამ ფრაზის თარგმნისას კუპერსონი მთავარი გმირის „უქმად სიარულს“ თუ ხეტიალს თავისი ინიციატივით ამატებს „ჭამას, სმას და მზის ქვეშ მხიარულებას“: „...in my wonderings in the wilderness, **and all the eating, drinking and making merry under the sun...**“ (Cooperon, 2020, p. 306)

ეკლესიასტეში ვკითხულობთ:

„და ვაქე მე სიხარული, რადგან არაფერია უკეთესი ადამიანისათვის მზის ქვეშ, ვიდრე ჭამა და სმა და მხიარულება. და ეს თან ახლავს მას შრომაში მთელი სიცოცხლე, რომელიც მისცა მას ღმერთმა მზის ქვეშ.“ (8:15)

ჭამა, სმა და მხიარულება მზისქვეშეთში დედანში არ არის, თუმცა მთარგმნელი ამ ალუბიით ზუსტად ახასიათებს ქალაქიდან ქალაქში მოგზაური, ბრძნული სიტყვის მაძიებელი ვაჭრის სილაღეს.

იდიშზე დანერგილი თითო-თითო სიტყვაა შემდეგ ფრაზებშიც:

*„I always kept an eye on the **zmanim**, so I wouldn't miss a service, G-D forbid. Whenever I went on a trip and we stopped somewhere, you think, I wasn't glad to hear a **barekhu**? You think, I didn't look for a **minyán**? So, this*

⁵ Ha-Shem – The Name – that is God; daven – pray

⁶ სტატიაში „თბილისური მაკამიდან“ გამოყენებული ფრაზების თარგმანი ჩემია (ნ.დ.). ეს არის ორიგინალიდან ზედმიწევნით შესრულებული თარგმანი.

time I arrive in Tbilisi and I daven bunch of poor kaptsonim“ (Cooperson, 2020, p. 306)⁷

„...მაგრამ ლოცვის დრო არაფრით არ გამომჩნებოდა, შემთხვევით ცოდვებს ვერიდებოდი. დიდ გზას ვადექი თუ ცოტა ხნით დავსახლდებოდი, მუეძინის⁸ ხმას სიხარულით ვეგებებოდი, ერთგულ მლოცველებს ვედევნებოდი. მოხდა ისე, როცა ქალაქ თბილისის ჩავედი, ღარიბ-ღატაკთა მცირე ჯგუფთან მომიხდა ლოცვა“.

ორიგინალში არსებული შესიტყვება „ერთგული მლოცველებიც“ აქ ებრაული ტრადიციისთვის დამახასიათებელი *მინიანი*⁹ არის ჩანსვლებული.

ლოცვის შემდეგ მთავარი პერსონაჟი იწყებს სიმულანტობას – ვითომ ის კოჭლი და დამბლადაცემულია, და მათხოვრობას – ამბობს, რომ ერთ ღროს მდიდარი იყო, თუმცა ბედისწერის უკუღმართობის გამო გაღარიბდა. აქ ახალ ინგლისურ ვერსიაში გამოყენებულია ფრაზა „გამოსვლათა წიგნიდან“. დედანში ასეა: „შეიხი დასვეს. იყო ჩუმად, გაუნძრეველი. როცა დარწმუნდა, ყველას სურდა მისი მოსმენა, გარშემო მყოფთაც იღუმალი იგრძნო მან მზერა, დაიწყო...“ კუპერსონს დამატებული აქვს ალუზია *ქვასავით დადუმებული მსმენელების* შესახებ: *So, everybody sits down, wraps their taleyssem around their knees, and waits, quite as a bunch of stones.* (Cooperson, 2020, p. 307)¹⁰ *შდრ.: ქვასავით იღუმონ ვიდრე ჩაივლიდეს, უფალო, შენი ერი, ვიდრე ჩაივლიდეს ეს ხალხი, შენ რომ დაიხსენი.* (გამოსვლათა 15:16) ჩამატებული ფრაზა ამ შემთხვევაშიც ჯდება კონტექსტში – თვალნათლივ წარმოგვიდგენს მოსასმენად განწყობილ, გაყუჩებულ „აუდიტორიას“.

აბუ ზაიდის მონოლოგი იწყება სიტყვით Listen („მისმინე“, Cooperson, p. 307), რაც დედანში არ არის. როსტენის განმარტებით, ამერიკულ სასაუბრო ენაში ეს სიტყვა გამოიყენება როგორც შორისდებული და არა როგორც ზმნა – ბუკვალურად არ გულისხმობს მნიშვნელობას „მისმინე“, არამედ იმას, რომ ამბის თხრობის მსურველი იწყებს რაღაცის მოყოლას (Rosten, 2001, p. 317).

თაღლითი პერსონაჟი თავს ასე აცოდებს მსმენელებს:

„Look at me: my hair's gone grey and I can hardly stand. I took terrible and I feel worse! You want to hear something? I used to be ongeshtopt mit gelt, and a balebos to boot. I was always ready to help the poor and the stranger. A regular

⁷ zmanim – appointed times, barekhu – call for worship, Kaptsonim – paupers

⁸ მუეზინი (არაბ. ლოცვისკენ მომწოდებელი) – ადამიანი, რომელიც დღეში ხუთჯერ მინარეთიდან ლოცვისკენ მოუწოდებს მუსლიმებს.

⁹ minyan - იუდაიზმში ლოცვისთვის სავალდებულო 10 კაცია კვორუმი 13 წელს ზემოთ მამაკაცებისა.

¹⁰ taleyssem – prayer shawls

k'nocker, that's what I was... until I took a bath and lost it all, they nickel-and-dimed me to death and took every shekel.“ (Cooperson, 2020, p. 307)¹¹

„ჭალარა თვალსაჩინოა, უძლურება – აშკარა, სნეულება მძიმეა, სიღარიბე ძნელია. არადა ვიყავ ის, ვინც მართავდა, ჰქონდა სიმდიდრე აღურაცხელი, ეხმარებოდა, ხელს უწვდიდა, თავსაც ესხმოდა – ვის ძლიერებას გავარდნოდა ქვეყნად სახელი. ბედის ბორბალი უკან-უკან დამიტრიალდა, ჩემი სახლ-კარი სულ მთლიანად დაცარიელდა, მთელი ქონება ერთიანად გამინიავდა.“

ამ აბზაცში დედანში არ არის შეკითხვა *You want to hear something?* (რამის მოსმენა გინდა?). თარგმანში ეს გამოთქმა როსტენის მიხედვითაა განმარტებული: *invitation to the revelation of unsolicited information* (Rosten, 2001, p. 569) – როცა ვინმეს გაუხმაურებელი ინფორმაციის განდობას სთავაზობ. მთარგმნელი სალაპარაკო ენაში დამკვიდრებულ ფრაზას აქ კვლავ თავად ამატებს, რითაც ცდილობს, შუა საუკუნეების პერსონაჟის მეტყველებას მეტი ბუნებრიობა შესძინოს.

აბუ ზაიდი მოუნოდებს მლოცველებს, მოწყალება გაიღონ, რათა სიკვდილის შემდეგ უფლის წინაშე პირნათელნი წარსდგნენ. მონოლოგის ეს ნაწილი რელიგიურ შეგონებებს შეიცავს ამქვეყნიური ყოფის დროებითობის, წუთისოფლის ამაოების, წარმავალობის, კეთილი საქმის ჩადენის აუცილებლობის შესახებ. საყურადღებოა, რომ ყურანიდან მოტანილი ფრაზები, რომელიც დედანში გვხვდება, თარგმანში ძველი აღთქმიდან მოხმობილი იმავე შინაარსის ციტატებითაა ჩანაცვლებული, რაზეც თავად მთარგმნელი მიუთითებს კომენტარებში (Cooperson, 2020, p. 311).

აბუ ზაიდის მიერ ლექსად წარმოთქმულ ნაწილებს კუპერსონმა ებრაული სიმღერები შეუხამა. ერთ-ერთი მათგანი *Bei mir bist du sheyn* 1932 წელს იდიშზე დადგმული სპექტაკლიდანაა. დედანში ვკითხულობთ:

„სიცოცხლის ძირში ხომ ტკბილია ნაყოფი ყველა,
უნდა მიირთვა, რაც მოგეცემა და არ ითხოვო შენ ფიჭა ფუტკრის,
ღვინის ნაჟურის და ძმრის გმართებს კარგად გარჩევა,
რათა ყველაფერს ფასი დასდო გამოცდილ მუშტრის,
ხომ სირცხვილია, როცა ჭკვიანს ეს შეეშლება?!“

მაკამების მთავარი პერსონაჟი ამ ლექსს მაშინ ამბობს, როცა შეკრებილი ხალხი ცდილობს, მისი წარმომავლობა დააზუსტოს. ყველა ხვდება, რომ აბუ ზაიდი საკმაოდ განათლებულია, თუმცა სურთ, გაიგონ, საიდან არის ის, რასაც სიმულანტი

¹¹ *ongeshtopt mit gelt* – stuffed with money, *balebos* – head of a household, *regular* – real, *k'nocker* – bog shot, *show-off*, *took a bath* – lost money

პერსონაჟი ამ ლექსით პასუხობს და კონკრეტულ ადგილს არ ასახელებს. აქ თარგმანში იდიშზე დანერგილი სასიმღერო ტექსტია ჩასმული:

*If Honey pleases your tongue
Why ask me where it's from
Just shut up and eat!*

*If the wine ain't got a **hechsher**
Don't give me a lecture,
Just shut up and drink!*

*A **maven** doesn't ask,
He just empties the glass;
That's what I call taste! (Cooperson, 2020, p. 308)¹²*

როგორც ვხედავთ, ორიგინალის ტექსტი მთლიანად გადაკეთებულია. უფრო ზუსტად, აბუ ზაიდის ლექსად ნათქვამი პასუხი ნათარგმნი კი არ არის, არამედ მზა ლექსითაა ჩანაცვლებული, თუმცა შენარჩუნებულია მოხეტიალე გმირის განწყობა და კონტექსტი – დედანშიცა და თარგმანშიც ეს სალექსო ციტატა ერთსა და იმავეს ნიშნავს, კერძოდ, ის გულისხმობს: „თუ მოგეწონა ჩემი ბრძნული სიტყვა, აზრი, შეირგე ის და ნუ გამოიძიებ, ნულარ იქეცები, თუ საიდან არის იგი ან მე რა წარმომავლობის ვარ. ამის გარეშეც ვიმსახურებ თქვენგან მონყალებას,“ – აბუ ზაიდის ეს „გზავნილი“ შეკრებილი აუდიტორიის მიმართ კი არ იკარგება, უკეთ იკვეთება თარგმანში.

მატყუარა მოგზაურს ფულით, სანოვაგით დააჯილდოვებენ. როცა იქაურობას მოშორდება, მას მთხრობელი აედევნება და შენიშნავს, რომ „დამბლადაცემულ“ შეიხს სიარულის მანერა შეეცვალა – ის აღარ კოჭლობს. აბუ ზაიდმა თავისი მსმენელების, ამ შემთხვევაში მლოცველების, გაცურება ისევ მოახერხა. ჩადენილი საქციელის გამო მთხრობელი საყვედურობს მთავარ გმირს, რასაც აბუ ზაიდის თავის მართლება მოსდევს – ის ამბობს, რომ ამ ქვეყანაზე თავის გატანის სხვა გზა არ დარჩენია და სხვ.

როგორც ტიპურ მედიევისტურ ძეგლს, მაკამებს ერთგვაროვანი კომპოზიცია აქვთ. ყოველ მაკამაში ერთი და იგივე სიუჟეტია სხვადასხვა ვარიაციებით: 1. მთხრობელის ჩამოსვლა ქალაქში; 2. მჭევრმეტყველთან შეხვედრა; 3. მთავარი გმირის მონოლოგი; 4. დაჯილდოვება; 5. მთავარი გმირის შეცნობა; 6. საყვედური; 7. თავის მართლება; 8. ორი მთავარი პერსონაჟის (მთხრობელის და მოხეტიალე ბოჰემის) დაშორება (დოლიძე 2012, 49).

მოქმედებათა ეს თანმიმდევრობა ალ-ჰარირის თითქმის ორმოცდაათივე მაკამაში ზუსტად მეორდება. თუკი შუა საუკუნეების მსმენელს სიამოვნებდა ერთი და

¹² Hechsher – kosher certification; maven -expert

იმავეს განმეორებით მოსმენა და სულაც არ ხიბლავდა მოულოდნელობის ეფექტი, თანამედროვე მკითხველისთვის მოსაბეზრებელია ასეთი სიუჟეტი, რომლის საფუძველი გმირის ხეტიალია სარჩოს საშოვნელად. ინტერესს აღარ იწვევს არც იმ დროისათვის აქტუალური დიდატიკური პასაჟები, რაც ძირითადად მთავარი გმირის მონოლოგში ჩანს. თუკი შუა საუკუნეებში დიდატიკურობა ლიტერატურის ძირითადი დანიშნულება იყო, დღეს ის ღიმილის მომგვრელია. რაკი პრიმიტიული სიუჟეტით, მაღალფარდოვანი და ხატოვანი ენით, გართმული პროზით, ჩახლართული სტილით, ძველი პოეტების ლექსებითა თუ ყურანიდან და *ჰადისებიდან*¹³ მოხმობილი ციტატებით შეუძლებელია 21-ე ს-ის მკითხველის დაინტერესება, კუპერსონი შეეცადა, ინგლისურნოვანი აღმქმელი გლობალური ენის მრავალმხრივი შესაძლებლობებით მოეზიდა. მის თარგმანში ინგლისური წარმოჩენილია ერთი მხრივ, როგორც კლასიკური მწერლობის მდიდარი, ტევადი ენა; მეორე მხრივ კი, როგორც გლობალურად გავრცელებული სალაპარაკო თუ საკომუნიკაციო საშუალება. „ყველა არსებული სლენგი, დიალექტი თუ სალაპარაკო ენა წარმოჩენის ღირსია, – წერს ის თავის შესავალში, – სტანდარტული ინგლისურის გამომყენებლები ამ თვალსაზრისით არ არიან გამორჩეულნი...“, და იქვე ამატებს: „ჩემი თარგმანი პირველ რიგში პერფორმანსია, რომელიც უნდა წაიკითხო როგორც ენის ზეიმი“ (Cooperson, 2020, p. XX).

მართლაც „თალლითობანი“ პირველ რიგში ენის ზეიმი და ეს ენა გლობალური ინგლისურია, მთელი თავისი მრავალფეროვნებით წარმოდგენილი. რადგან ალ-ჰარირის მაკამების კიდევ ერთხელ თარგმნის მიზეზი მისი პოპულარიზაცია იყო, ბუნებრივია, მთარგმნელის წინაშე იდგა ამოცანა, კლასიკური ნიმუში მისაწვდომ და საინტერესო საკითხავად ექცია. საამისოდ მან ორიგინალის ენის ინტერპრეტაციის თავისებური გზა გამონახა – გამოიყენა ლიტერატურული თუ არალიტერატურული ინგლისური, სხვადასხვა სტილის იდიომები, გამოთქმები, კლასიკოსი მწერლების ლექსიკა. „თბილისური მაკამის“ ამერიკული იმიტაცია გაჯერებულია მთარგმნელი ენის, კულტურის ასოციაციური კავშირებით მაკამის პერსონაჟთან, მის შინაარსთან. აქ შუა საუკუნეების მოხეტიალის აბუ ზაიდის ხმა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა უღერდეს, მე-20 ს-ის კომედიანტის – ჰენი იანგმენის მეტყველებას ეფუძნება. Yinglish-ზე მოსაუბრე შოუმენების ენის გარდა გამოყენებულია ალფიჰამის მოთხრობა თალლით პერსონაჟზე; ალუზიები ძველი აღქმიდან; სასიმღერო ტექსტები იდიშზე დადგმული სპექტაკლებიდან... ეს ყველაფერი „თბილისურ მაკამას“ თანამედროვე ამერიკელი მკითხველისთვის უფრო საინტერესოს ხდის. ლ. როსტენის ბესოსელერის სახელწოდების ანალოგიით გადაკეთებული სათაური (*The Joy of Yarábic*) კი მიგვანიშნებს, თუ რა კუთხით უნდა წავიკითხოთ კრებულის 33-ე ნოველა. მკითხველი გაეცნობა ებრაულ სიტყვებსა და

¹³ *ჰადისი* (არაბ. ამბავი), *ჰადისები* - მოციქულ მუჰამადის ცხოვრების ამსახველი ამბები

ფრაზებს, რომელთა ნაწილი ამერიკელთა სასაუბრო ენაში შევიდა, ალუზიებს „დაბადებიდან“ თუ „გამოსვლათა წიგნიდან“, კომენტარებიდან კი უფრო მეტს შეიტყობს აშშ-ში იდიშზე გამოსული წიგნებისა თუ დადგმული სპექტაკლების შესახებ. ამ მხრივ, თარგმანს შემეცნებითი ფუნქციაც კი აქვს. თუმცა, მთარგმნელის მიზანი უფრო ის არის, რომ მის მიერ „ლინგვისტურ აკრობატიკად“ წოდებული სტილის ანალოგი ინგლისურ ენაზე შექმნას. არა მხოლოდ „თბილისური მაკამის“, არამედ მთელი ამ წიგნის თარგმანი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კუპერსონის მიზანი თანამედროვე lingua franca-ს სიჭრელისა და მრავალფეროვნების წარმოჩენაა ისე, როგორც თავის დროზე ალ-ჰარირი ცდილობდა არაბულის როგორც ღვთის ენისა და იმდროინდელი საერთაშორისო ენის ღირსების წარმოჩენას. 21-ე ს-ში ინგლისურმა მართლაც გლობალური მნიშვნელობა შეიძინა და ამ გლობალური ენის ერთი შემადგენელი ნაწილია ამერიკელ ებრაელთა მეტყველებაც.

კუპერსონი წიგნის შესავალში განმარტავს, რომ იმიტატორს შეუძლია დედნის აზრიც კი შეცვალოს, მაგრამ ის ამას არ აკეთებს (Cooperson, 2020, p. xlv). მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტსა და შინაარსში მართლაც თითქმის არაფერია შეცვლილი, ვფიქრობ, ასეთი ასოციაციური ინტერპრეტაცია ორიგინალის ბევრ ნიშანს კარგავს და მკითხველის ყურადღება სხვა რამეზე გადააქვს, კერძოდ, უგულებელყოფილია „მაკამების“ როგორც არაბული მედიევისტური ძეგლის კონტექსტი – ის, რომ თბილისი (ტექსტში ხსენებულ სხვა ქალაქებთან ერთად) იმ ეპოქის მნიშვნელოვანი სავაჭრო-კულტურული ცენტრი იყო, ან ის, რომ აბუ ზაიდი მაკამიდან მაკამაში სქემატურად გარდამავალი ფიგურა კი არ არის, იმ დროისთვის პროგრესული ლიტერატურული სახეა დადებითი და უარყოფითი თვისებებით (არც გმირია, არც ანტიგმირი)¹⁴. მთარგმნელისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია მუსლიმთა წმინდა ტექსტებიდან ჩართული ფრაზებიც, რაც გარკვეულწილად ავთენტიკურ კონტექსტს ქმნის. თარგმანში ისინი ბიბლიიდან მოტანილი ციტატებითაა ჩანაცვლებული. აშკარაა, რომ კუპერსონი მკითხველი აუდიტორიის ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე არაბული დედნის საკუთარ კულტურულ სივრცეში ავთენტიკური სახით შემოტანის აუცილებლობას. ის მეტადაა ორიენტირებული მიმდებ საზოგადოებაზე, იმაზე, რომ მაკამები ინგლისურენოვან მკითხველებში გახდეს ცნობილი. მართალია, „თბილისური მაკამის“ სათაური შეცვლილია, მაგრამ *თბილისი* თარგმანში ნახსენებია. კომენტარებში მას „ისლამის ენციკლოპედიიდან“ მოხმობილი განმარტება ახლავს:

¹⁴ აქ იგულისხმება აბუ ზაიდის როგორც პერსონაჟის არაერთგვროვნება. როდესაც შუა საუკუნეების დასავლეთში იქმნებოდა სარაინდო რომანები გაიდვალელებული გმირებით და ბოლომდე უარყოფითი პერსონაჟებით, და დეფოლკლორიზაციის პროცესი, პერსონაჟთა შავ-თეთრი გალერეის წარმოჩენით, არც ახლო აღმოსავლურ ლიტერატურებში იყო დასრულებული, მაკამების მთავარი გმირი რთულ ფსიქოტიპად მოგვევლინა. უფრო დანვრელებით ამის შესახებ იხ. N. Dolidze, pp. 23-26

„The Arabic geographers of al-Hariri’s time describe it as a large city protected by double wall with three gates. The Kura river with its watermills divided the city into two part connected by bridge of boats. The houses were built of pine, and the baths were supplied with hot water from the thermal springs.“
(Minorsky et.al., 1960-2007, p.311)¹⁵

შუა საუკუნეების ნანარმოებები ხშირად ითარგმნება ცალკე საუნივერსიტეტო და სამეცნიერო აუდიტორისთვის მეტი სიზუსტით თუ სკრუპულოზური კომენტარებით, და ცალკე – არასპეციალისტი საზოგადოებისთვის გარკვეული ცვლილებებით. ამ პოპულარულ (თუ პოპულარობისთვის გამიზნულ) თარგმანში კი დედნის ენის ინტერპრეტაცია სამეცნიერო თარგმანზე არანაკლებ განმარტებას საჭიროებს ფართო საზოგადოებისთვის. „თაღლითობანი“ ავლენს მთარგმნელის ფართო ერუდიციას, ინგლისური ლიტერატურისა თუ კლასიკური არაბული ენის უბადლო ცოდნას და ის ნამდვილად არის დიდი შრომის შედეგი, რომელიც შეიძლება შეფასდეს არა მხოლოდ როგორც გაინგლისურება, არამედ როგორც ტრანსკულტურაცია – ტრანსფორმაციის ისეთი ფორმა, როცა არსებული კულტურული ელემენტების ახლით ჩანაცვლება ხდება.¹⁶ ამერიკელი მთარგმნელი აღიარებს, რომ მისი ნამუშევარი მოშინაურებაა; რომ სხვა გზა მიმღებ კულტურულ სივრცეში მაკამების შემოსატანად მან ვერ გამონახა. თუმცა, ორიგინალის გარკვეული შტრიხების დაკარგვის მიუხედავად, მაიკლ კუპერსონმა შეძლო, შემოეთავაზებინა კლასიკური ნიმუშის სრულიად ახლებური, თანამედროვე ინტერპრეტაცია, რომელსაც იშვიათი სტილურ-ლინგვისტური ეკლექტიურობისა და მოულოდნელი ინტერპოლაციების გამო *პოსტმოდერნისტული თარგმანიც* კი შეიძლება ვუწოდოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

დოლიძე, ნ. (2023) *ალ-ჰარირის „თაღლითობანი“*, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საერთაშორისო ასოციაციის (ICLA) 23-ე კონგრესის მასალები 24.07.22-29.07.22, 2023

დოლიძე, ნ. (2010) *მაკამის უანრი არაბულ ლიტერატურაში*, თსუ

¹⁵ ალ-ჰარირის ეპოქის არაბი გეოგრაფები თბილისს აღწერდნენ როგორც ორმაგი, სამკარიბჭიანი გალავნით დაცულ დიდ ქალაქს, რომელსაც მდინარე მტკვარი ორ ნაწილად ჰყოფს. ისინი ერთმანეთს ნავებით გადაბული ხიდებით უკავშირდება. სახლები აშენებულია ფიჭვისგან. აბანოები თერმული ცხელი წყლით მარაგდება.

¹⁶ არსებობს მოსაზრება, რომ ამ ტიპის იმიტაცია უფრო მეტ ადგილს დაიკავებს თანამედროვე სალიტერატურო ბაზარზე. (Kroll, 2018, p. 561)

დოლიძე, ნ. (2012) *ალ-ჰარირის „თბილისური მაკამა“*, მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: შუასაუკუნეების ლიტერატურული პროცესი. საქართველო, ევროპა, აზია, თბილისის ლიტერატურის ინსტიტუტი, 24–26 სექტემბერი, გვ. 46-53

Dolidze, N. (2012) “Arabic Maqāmāt and Spanish Picaresque Novel (Comparative analysis of al-Hamadānī’s Maqāmāt and The Life of Lazarillo de Tormes and His Fortunes and Adversities by anonymous author)”, *Homo Lokuens*, Vol. 4, Multilingual Association Journal, Tbilisi: Universali, pp. 23-26

წერეთელი გ. (1947) *სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის*. თბილისი: თსუ შრომები

ძველი აღთქმა, ეკლესიასტე:

<https://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/dzveli/eklesiaste/eklesiaste-1.htm>

ძველი აღთქმა, გამოსვლათა წიგნი:

<https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia/gamosvla/gamosvla-15.htm>

Aleichem, Sh. *A Yom Kippur Scandal*: <https://sholemaleichem.org/a-yom-kippr-scandal>

Cooperson, M. (2020) *Imposters* by al-Hariri, NYU Press

Hardenberg, J. (2018) *King of the One-Liners*, lulu.com

Minorsky, V., Bosworth, C.E. (1960-2007) “Tiflis”, *Encyclopedia of Islam*, Leiden : Brill

Kroll, P.W. (2018) “Translation or Sinology: Problems of Aims and Results”, *Journal of the American Oriental Society* 138, N3, pp. 559-65

Library of Arabic Literature <https://www.libraryofarabicliterature.org/>

Rickles, D. (2008) *Rickles’ Book: A Memoir*, Simon & Shuster

Rosten, L. (2001) *The New Joys of Yiddish*, New York: Crown

Youngman, H. (1989) *Henny Youngman’s 10000 One-Lines: An Encyclopedia of On-Liners* (Ed. Shanaphy E.), Cpg Inc.